პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 134 (20175) — ხუთშაბათი, 9 ივნისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია გაიხსნება 1988 წლის 11 ივნისს 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 10 ივნისს 9 საათიდან 21 საათამდე და 11 ივნისს 8 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სესიის მუშაობა ტრანსლირებული იქნება საქართველოს ტელევიზიით. ტელეფონები: 99-06-94, 93-16-10, 99-92-79.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1988 წლის 11 ივნისს 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ

ეს კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს კოოპერატივების საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ პირობებს სსრ კავშირში სოციალიზმის შენებლობის თანამედროვე ეტაპის მიხედვით კოოპერაციის შესახებ ლენინური იდეების განვითარების საფუძველზე.

კანონში უნდა გამოავლინოს კოოპერაციის უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი, მისი როლის ზრდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, გაძლიეროს სამეურნეო ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი, ახალი იმპულსი მიანიჭოს საყოველთაო მოძრაობას, შექმნის მოსახლეობის ფართო ფენების კოოპერატივებში ჩაბმის პირობები. მისი მიზანია კოოპერაციული ფორმების ყოველმხრივი გამოყენება სურსათზე, სახალხო მოხმარების საქონელზე, ბინაზე, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების სხვადასხვაგვარ პროდუქციაზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. კანონი ადგენს კოოპერაციული დემოკრატიის განვითარების ძირითად პრინციპებს, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და კოოპერაციის ურთიერთობას, უზრუნველყოფს კოოპერატივებიან სამეურნეო საქმიანობის ფორმათა თავისუფალ არჩევას, სახავს ინიციატივისა და თვითმმართველობის ფართო ასპარეზს, ხელს კოოპერატივის წევრთა პასუხისმგებლობას თავიანთი შრომის შედეგებისათვის.

კანონი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს კოოპერატივში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან თავისუფალი გამოსვლის, კოოპერატივის ყველა საქმის მართვაში მონაწილეობის უფლებას; კოლეტივური მეურნეობრიობის დამოუკიდებლობა და საწესდებო ამოცანათა შესრულებისათვის გადაწყვეტილებათა მიღებაში კოოპერატივის დამოუკიდებლობას; სოციალურ სამართლიანობასა და სოციალურ თანასწორობას შრომის უფლებაში, შრომის ოდენობისა და ხარისხის შესაბამისა პირადი და სოციალური უზრუნველყოფის შემოსავლის უფლებაში.

სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონის მიზანია სოციალისტური ეკონომიკის სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული სექტორების თანასწორუფლებიანი ურთიერთმოქმედება, იგი ხელს უწყობს სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების შემდგომ განვითარებას.

I. სოციალისტური კოოპერაცია და მისი ადგილი ქვეყნის ეკონომიკაში

მუხლი 1. კოოპერაცია სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემაში

1. სოციალისტური კოოპერაცია არის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის მუდმივად განვითარებადი, პროგრესული ფორმა, იგი მოქალაქეებს ფართო შესაძლებლობას უსახავს იმისათვის, რომ თავიანთი ძალები და ცოდნა მოახმარონ შრომის ნაყოფიერების თითოეულის მოწოდების, სეფილოსა და უნარის მიხედვით, მიიღონ შემოსავალი შრომის ოდენობისა და ხარისხის, კოოპერატივის საქმიანობის საბოლოო შედეგების მიხედვით, და მის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

2. სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების პირობებში, საკუთრების სახელმწიფო (საერთო-სახალხო) ფორმის წამყვანი როლის დროს ყველაზე ვითარდება საკუთრების კოოპერაციული ფორმა, რომელიც ხელს უწყობს სოციალიზმის შესაძლებლობათა და უპირატესობათა უფრო სრულ გამოყენების, საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებას, მაღალტექნიკურ-ეკონომიკურ ნაგებობათა ბაზრის, ჯეერების, მათ გაიაფებასა და საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

3. სახელმწიფო, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებისათვის კოოპერაციის დიდ მნიშვნელობას, ყოველნაირად უჭერს მხარს კოოპერაციულ მოძრაობას, ხელს უწყობს მის გაფართოებას, უზრუნველყოფს კოოპერატივებისა და მათი წევრების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

4. კოოპერაციული საწარმოები (ორგანიზაციები), რომლებსაც ქვემოთ „კოოპერატივები“ ეწოდებათ, სახელმწიფო საწარმოებთან (საკრთიანებებთან) ერთად ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ძირითად რგოლს შეადგენენ. შრომა კოოპერატივებში საპატიო, პრესტიჟიანი და მას ყოველმხრივ ახალისებს სახელმწიფო.

5. კოოპერაცია სსრ კავშირში კოოპერატივების წევრებს აძლევს რეალურ შესაძლებლობებს და მატერიალურად ინტერესებთ მათ იმით, რომ გაადიდონ მეურნეობრიობის ეფექტიანობა კოოპერატივების მიერ საქონლის წარმოების განაწილებისა და გაყიდვის, სამუშაოთა შესრულების, მომსახურების გაწევისა და სხვა სახეობათა საქმიანობის განხორციელების თავიანთი ვალმოხილობის ფარგლებში. კოოპერატივებს ცხოვრების სოციალური პირობები.

კოოპერატივების საქმიანობა, დიდი შრომის ნაყოფიერება და მისი ანაზღაურების სისტემა სტიმულს უნდა აძლევდეს ეკონომიკური ზრდისა და ინტენსიფიკაციის, ეფექტურობის ზრდისა, ეფექტიანი ტექნოლოგიებისა, ეკონომიკური ინტერესებისა და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.

3. კოოპერატივის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც კოლექტივის პოლიტიკური ბირთვია, მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, ხელს უწყობს შრომითი კოლექტივის | წევრთა საწარმოო ინიციატივისა და სოციალური აქტიურობის გადიდებას, მათი პოლიტიკური თვითშეგნების, ბატონ-პატრონისა და კოოპერატივის საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ზრდას.

სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კოოპერატივის საქმიანობას ეხება, ამეფენენ და იღებენ მისი მართვის ორგანოები შრომითი კოლექტივის, მასში მოქმედი პარტიული, ფაქრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით მათი წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. კოოპერატივის საკუთრება

1. კოოპერატივის საკუთრება არის მისი კუთვნილი წარმოების საშუალებები და სხვა ქონება, რომლებიც საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის სჭირდება. კოოპერატივს შეიძლება ეკუთვნოდეს შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მეფე პირუტყვი, წარმოებული პროდუქცია, საქონელი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება მისი საქმიანობის მიზნების შესაბამისად.

2. კოოპერატივის ქონება ყალიბდება მის წევრთა ფულადი და მატერიალური შენატანების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციისა და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის, კოოპერატივის აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან შემოსულობისა და ბანკის კრედიტების ბარეზე. კოოპერატივის ქონების ფორმირებაში ფულადი და მატერიალური შენატანების გზით სახელმწიფო საწყისებზე მონაწილეობის მიღება შეეძლიათ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს (ორგანიზაციებს), იგივეთვე მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან კოოპერატივების წევრები, მათი ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

3. კოოპერაცია, რომელიც მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპებზე, თავისი შემოსავლის ხარჯზე უზრუნველყოფს კოოპერატივების წევრთა და მათი ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას, წყვეტს სოციალურ ამოცანებს, ქმნის დიდნაყოფიერი შრომის ხელშეწყობ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს თავისი წევრების ჭონებრივი ინტერესებისა და სოციალური უფლებების დაცვას, მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში.

II. კოოპერატივი სსრ კავშირში კოოპერაციის სისტემის პირველადი რგოლია

მუხლი 5. სოციალისტური კოოპერატივი

1. კოოპერატივი არის სსრ კავშირის მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან წევრობის საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო და სხვა საქმიანობისათვის საკუთრების უფლებით მისი კუთვნილი, იჯარით აღებული ან უფასო სარგებლობისათვის მიცემული ქონების, დამოუკიდებლობის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების, აგრეთვე კოოპერატივის წევრთა მატერიალური დაინტერესებისა და კოლეტივისა და საზოგადოების ინტერესებთან მათი ინტერესების უფრო სრული შეხამების ბაზაზე.

2. კოოპერატივი, როგორც სსრ კავშირის კოოპერაციის სისტემის პირველადი რგოლი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში და სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმადლესი მიზნის მიღწევაში — ადამიანთა ზარალი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყველაზე სრულ დაკმაყოფილებაში.

3. ამ კანონით განსაზღვრულ ამოცანათა და უფლებამოსილებათა განხორციელების ინტერესებისათვის კოოპერატივს უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილებანი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და კოოპერატივის წესდებას. კოოპერატივი არის იურიდიული პირი, სარგებლობს უფლებებითა და ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი.

4. კოოპერატივის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას სტრუქტურული ქვეგანყოფილებები (მათ შორის ტერტორიულად განკერძოებულები): განყოფილებანი, სამკერეოები, ფერმები, სახელოსნოები, ატელიეები, მაღაზიები და სხვები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წესი, კოლეტივური, ოჯახური და ინდივიდუალური იჯარის საწყისებზე, მათ შორის ქონების არენდით. კოოპერატივს უფლება აქვს გახსნას თავისი ფილიალები და წარმომადგენლობანი.

მუხლი 6. კოოპერატივის შრომითი კოლეტივი

1. კოოპერატივის წევრები, რომლებიც თავიანთი შრომით მონაწილეობენ მის საქმიანობაში, აგრეთვე პირნი, რომლებიც კოოპერატივზე მუშაობენ შრომითი ხელშეკრულებით, შეადგენენ კოოპერატივის შრომის კოლეტივს.

2. კოოპერატივი აყალიბებს შრომითს კოლეტივს, რომელსაც უნარი შესწევს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითფინანსების პირობებში მიაღწიოს მაღალ საბოლოო შედეგებს, ბრუნავს კოლეტივის წევრთა და მასში მომუშავე სხვა პირთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, მათ შორის ანაწილებს სამუშაოებს მათი კვალიფიკაციისა და კოოპერატივის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.

3. კოოპერატივის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც კოლეტივის პოლიტიკური ბირთვია, მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, ხელს უწყობს შრომითი კოლეტივის | წევრთა საწარმოო ინიციატივისა და სოციალური აქტიურობის გადიდებას, მათი პოლიტიკური თვითშეგნების, ბატონ-პატრონისა და კოოპერატივის საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ზრდას.

სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კოოპერატივის საქმიანობას ეხება, ამეფენენ და იღებენ მისი მართვის ორგანოები შრომითი კოლეტივის, მასში მოქმედი პარტიული, ფაქრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით მათი წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. კოოპერატივის საკუთრება

1. კოოპერატივის საკუთრება არის მისი კუთვნილი წარმოების საშუალებები და სხვა ქონება, რომლებიც საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის სჭირდება. კოოპერატივს შეიძლება ეკუთვნოდეს შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მეფე პირუტყვი, წარმოებული პროდუქცია, საქონელი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება მისი საქმიანობის მიზნების შესაბამისად.

2. კოოპერატივის ქონება ყალიბდება მის წევრთა ფულადი და მატერიალური შენატანების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციისა და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის, კოოპერატივის აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან შემოსულობისა და ბანკის კრედიტების ბარეზე. კოოპერატივის ქონების ფორმირებაში ფულადი და მატერიალური შენატანების გზით სახელმწიფო საწყისებზე მონაწილეობის მიღება შეეძლიათ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს (ორგანიზაციებს), აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან კოოპერატივების წევრები, მათი ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

3. კოოპერაცია, რომელიც მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპებზე, თავისი შემოსავლის ხარჯზე უზრუნველყოფს კოოპერატივების წევრთა და მათი ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას, წყვეტს სოციალურ ამოცანებს, ქმნის დიდნაყოფიერი შრომის ხელშეწყობ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს თავისი წევრების ჭონებრივი ინტერესებისა და სოციალური უფლებების დაცვას, მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში.

II. კოოპერატივი სსრ კავშირში კოოპერაციის სისტემის პირველადი რგოლია

მუხლი 5. სოციალისტური კოოპერატივი

1. კოოპერატივი არის სსრ კავშირის მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც ნებაყოფლობით ერთიანდებიან წევრობის საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო და სხვა საქმიანობისათვის საკუთრების უფლებით მისი კუთვნილი, იჯარით აღებული ან უფასო სარგებლობისათვის მიცემული ქონების, დამოუკიდებლობის, თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების, აგრეთვე კოოპერატივის წევრთა მატერიალური დაინტერესებისა და კოლეტივისა და საზოგადოების ინტერესებთან მათი ინტერესების უფრო სრული შეხამების ბაზაზე.

2. კოოპერატივი, როგორც სსრ კავშირის კოოპერაციის სისტემის პირველადი რგოლი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში და სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უმადლესი მიზნის მიღწევაში — ადამიანთა ზარალი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყველაზე სრულ დაკმაყოფილებაში.

3. ამ კანონით განსაზღვრულ ამოცანათა და უფლებამოსილებათა განხორციელების ინტერესებისათვის კოოპერატივს უფლება აქვს მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილებანი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და კოოპერატივის წესდებას. კოოპერატივი არის იურიდიული პირი, სარგებლობს უფლებებითა და ასრულებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და აქვს დამოუკიდებელი ბალანსი.

4. კოოპერატივის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას სტრუქტურული ქვეგანყოფილებები (მათ შორის ტერტორიულად განკერძოებულები): განყოფილებანი, სამკერეოები, ფერმები, სახელოსნოები, ატელიეები, მაღაზიები და სხვები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წესი, კოლეტივური, ოჯახური და ინდივიდუალური იჯარის საწყისებზე, მათ შორის ქონების არენდით. კოოპერატივს უფლება აქვს გახსნას თავისი ფილიალები და წარმომადგენლობანი.

მუხლი 6. კოოპერატივის შრომითი კოლეტივი

1. კოოპერატივის წევრები, რომლებიც თავიანთი შრომით მონაწილეობენ მის საქმიანობაში, აგრეთვე პირნი, რომლებიც კოოპერატივზე მუშაობენ შრომითი ხელშეკრულებით, შეადგენენ კოოპერატივის შრომის კოლეტივს.

2. კოოპერატივი აყალიბებს შრომითს კოლეტივს, რომელსაც უნარი შესწევს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითფინანსების პირობებში მიაღწიოს მაღალ საბოლოო შედეგებს, ბრუნავს კოლეტივის წევრთა და მასში მომუშავე სხვა პირთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის, მათ შორის ანაწილებს სამუშაოებს მათი კვალიფიკაციისა და კოოპერატივის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.

3. კოოპერატივის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც კოლეტივის პოლიტიკური ბირთვია, მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში, ხელს უწყობს შრომითი კოლეტივის | წევრთა საწარმოო ინიციატივისა და სოციალური აქტიურობის გადიდებას, მათი პოლიტიკური თვითშეგნების, ბატონ-პატრონისა და კოოპერატივის საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ზრდას.

სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც კოოპერატივის საქმიანობას ეხება, ამეფენენ და იღებენ მისი მართვის ორგანოები შრომითი კოლეტივის, მასში მოქმედი პარტიული, ფაქრეთვე პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით მათი წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. კოოპერატივის საკუთრება

1. კოოპერატივის საკუთრება არის მისი კუთვნილი წარმოების საშუალებები და სხვა ქონება, რომლებიც საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის სჭირდება. კოოპერატივს შეიძლება ეკუთვნოდეს შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, პროდუქტიული და მეფე პირუტყვი, წარმოებული პროდუქცია, საქონელი, ფულადი სახსრები და სხვა ქონება მისი საქმიანობის მიზნების შესაბამისად.

2. კოოპერატივის ქონება ყალიბდება მის წევრთა ფულადი და მატერიალური შენატანების, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის, მისი რეალიზაციისა და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის, კოოპერატივის აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან შემოსულობისა და ბანკის კრედიტების ბარეზე. კოოპერატივის ქონების ფორმირებაში ფულადი და მატერიალური შენატანების გზით სახელმწიფო საწყისებზე მონაწილეობის მიღება შეეძლიათ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებს (ორგანიზაციებს), აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან კოოპერატივების წევრები, მაგრამ მასში შრომითი ხელშეკრულებით მუშაობენ.

3. კოოპერატივის საკუთრება არის მის მიერ შექმნილი საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება, აგრეთვე სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და ორგანიზაციათა ქონება მისი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

გაერთიანებათა ქონება, რომელთა შემადგენლობაში შედიან კოოპერატივები, სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, არის სახელმწიფოს, კოოპერატივების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საერთო საკუთრება.

კავშირების (გაერთიანებების) ქონება, რომელთა შემადგენლობაში შედიან მხოლოდ კოოპერატივები, საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნიან ამ კოოპერატივებს ანდა შეიძლება იყოს კავშირის (გაერთიანების) საკუთრება.

4. კოოპერატივი, როგორც საკუთრების უფლებათი მისი კუთვნილი, აგრეთვე მის სარგებლობაში არსებული ქონების სრულფასოვანი ბატონ-პატრონი, მოვალეა ამრავლოს იგი, ეფექტიანად გამოიყენოს და დაიცვას. არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს კოოპერაციული საკუთრება უკანონო შემოსავლის მიღებისა და სხვა ანგარებიანი მიზნებისათვის.

მუხლი 8. კოოპერატივის საკუთრების სამართლებრივი დაცვა

1. კოოპერაციული საკუთრება, როგორც სოციალისტური საკუთრების ფორმა, ხელშეუხებელია და მას სახელმწიფო იცავს. მას იცავს კანონი სახელმწიფო საკუთრების თანაბრად. კოოპერატივის ქონება შეიძლება ამოღებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მათი კომპეტენციის შესაბამისად.

2. ქონების გაჩუქების უფლება ეკუთვნის მხოლოდ თვით კოოპერატივს, არ შეიძლება კოოპერატივის ქონების გამოყენება მიზნებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის საწესდებო საქმიანობასთან.

3. კოოპერატივს უფლება აქვს:

მიაყიდოს და გადასცეს სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს, გაუცვალოს, მისცეს იჯარით, სესხად და დროებითი სარგებლობისათვის უფასოდ გადასცეს შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ბალანსიდან ჩამოწეროს ძირითადი ფონდები, თუ ისინი გაცდა ან მორალურად მოძველდა.

გადასცეს სახელშეკრულებო საწყისებზე მატერიალური და ფულადი რესურსები სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ან ასრულებენ კოოპერატივისათვის სამუშაოებსა და მომსახურებას.

4. კოოპერატივს ეკისრება დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა გამო მისი კუთვნილი ქონებით, მათ შორის ძირითადი საშუალებებით. სახელმწიფო პასუხს არ აგებს კოოპერატივის ვალდებულებათა გამო. კოოპერატივი პასუხს არ აგებს სახელმწიფოს და თავისი წევრების ვალდებულებათა გამო. კოოპერატივის წევრები პასუხს არ აგებენ მისი ვალების გამო ამ კანონით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა კანონმდებლობით ან კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი. 9. კოოპერატივების მიერ ბუნებრივი რესურსებისა და ქონების გამოყენება, რომელიც მისი 'საკუთრება არ არის

1. მიწებითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით კოოპერატივი სარგებლობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. კოოპერატივი პასუხს აგებს მისთვის სარგებლობაში გადაცემული მიწების, წყლების, წიაღის, ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნების და ეონისძიებათა შესრულებისათვის.

2. კოოპერატივი მოვალეა უზრუნველყოს მიწის ეფექტიანი გამოყენება, მუდმივად იზრუნოს მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის, მოიშოროდ ისარგებლოს მიწით იმ მიზნების შესაბამისად, რისთვისაც მიეცა იგი, დაიცვას გარეშე გაჭუჭყიანებისა და სხვა მავნე ზემოქმედებისაგან და ამასთან დაკავშირებით განახორციელოს წარმოების ორგანიზაცია მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების ბაზაზე.

კოოპერატივი საკუთარი სახსრებისა და კრედიტების ბარეზე ახორციელებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა მოახდინონ გარემოზე წარმოების უარყოფითი ზემოქმედების კომპენსაცია. ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულია ასეთი ღონისძიებების დაფინანსება ცენტრალიზებული წყაროების ბარეზე.

კოოპერატივი მოვალეა აანაზღაუროს მის მიერ ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალი.

კოოპერატივის საქმიანობა, რომელიც უხეშად არღვევს ბუნებით სარგებლობის დადგენილ რეჟიმს, შეიძლება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შეჩერდეს, სანამ არ აღმოფხვრის დაშვებულ დარღვევებს.

3. თავისი საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის კოოპერატივს უფლება აქვს სახელშეკრულებო საწყისებზე გამოიყენოს ქონება, რომელსაც მან აძლევენ სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები. საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, აგრეთვე მოქალაქეთა თანხმობით, რომელმაც კოოპერატივს მისცეს ქონება სარგებლობისათვის, მას შეეძლია შეიძინოს ან გადაცემული შენობები, სათავსები, მოწყობილობა და სხვა ქონება, რომელიც ძირითად ფონდებს განეკუთვნება.

მუხლი 10. კოოპერატივის საქმიანობის პრინციპები

1. კოოპერატივის საქმიანობას საფუძვლად უდევს კოოპერატივში ნებაყოფლობითი შესვლისა და იქიდან დაუბრკოლებელი გამოსვლის, პირადი, კოლეტივური და სახელმწიფო ინტერესების შეხამებისა, საფუძ�nერეფ დემოკრატიულობის, მატერიალური დაინტერესების და სოციალური სამართლიანობის, კოოპერატივის წევრთა კოოპერაციული დემოკრატიის, სოციალისტური კანონიერების საფუძველზე მის საქმეთა მართვაში უშუალო მონაწილეობის პრინციპები.

2. სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოების (კოოპერატივების კავშირების, გაერთიანებების) ჩარევა კოოპერატივის სამეურნეო ან სხვა საქმიანობაში არ დაიშვება. ამ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მართვის ორგანო ან კოოპერაციული ორგანო გამოსცემენ აქტს, რომელიც არ შეესაბამება მათს კომპეტენციას, ან ირღვევა კანონმდებლობის მოთხოვნება, კოოპერატივს უფლება აქვს სასამართლოში ან სახელმწიფო არბიტრაჟში შეიტანოს განცხადება იმის შესახებ, რომ ასეთი აქტი მთლიანად და ნაწილობრივ არ სცნონ ნამდვილად.

ზარალი, რომელიც კოოპერატივს მოუვა სახელმწიფო ან კოოპერაციული ორგანოების მითითებათა შესრულების შედეგად, რომლებმაც დაარღვიეს კოოპერატივის უფლებები, აგრეთვე იმის შედეგად, რომ სათანადოდ არ შეასრულეს კოოპერაციულმა ორგანოებმა თავიანთი მოვალეობები კოოპერატივის მიმართ, უნდა აანაზღაუროს ამ ორგანოებმა. ზარალის ანაზღაურების გამო დავას წყვეტენ სასამართლო ან სახელმწიფო არბიტრაჟი.

3. საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, საქონლის (სამუშაოების, მომსახურება) წარმოებისა და რეალიზაციის გაფართოების მიზნით კოოპერატივებს ნებაყოფლობით საწყისებზე შეუძლიათ თავიანთი სახსრების ნაწილი გაიერთიანონ სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრებთან.

კოოპერატივებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ:

საწარმოთა და წარმოებათა რეკონსტრუქციასთან და ტექნიკურ განახლებასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან. პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებასთან, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარებასთან და მოსახლეობის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ერთობლივ შესრულებაში;

დარგთაშორის წარმოებების, სარემონტო-სამშენებლო, სავაჭრო და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნაში;

სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოო, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში, აგრეთვე საგზაო შენელოებაში;

საკვებლისტთა მომზადებაში და სასოფლო-სამრეწველო საწარმოების შექმნაში.

აღნიშნული და სხვა ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად კოოპერატივები დებენ ხელშეკრულებებს, რომლებთანაც გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები კოოპერატივებს ეხმარებიან ერთობლივი საწარმოებისა და ორგანიზაციების განვითარებაში, ხელს უწყობენ მათ ამ დარგში მინიჭებული უფლებების რეალიზაციაში.

მუხლი 11. კოოპერატივის შექმნა და მისი წესდება

1. კოოპერატივი იქმნება მოქალაქეთა სურვილით მხოლოდ ნებაყოფლობითს საწყისებზე. კოოპერატივის შექმნა არ არის განსაზღვრული საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების რაიმე სპეციალური ნებართვით.

კოოპერატივი შექმნილად ითვლება, როგორც კი რეგისტრაციაში გატარდება წესდება, რომელიც წარმოდგენილ მისი საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს. წესდებას იღებს ამ მოქალაქეთა საერთო კრება, რომელსაც სური კოოპერატივების დაარსება. კოოპერატივის წევრთა რიცხვი სამ კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს.

კოოპერატივები იქმნება და მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელ საწყისებზე, ისე სახელმწიფო, კოოპერაციულ ან სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

2. კოოპერატივის წესდება რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში კოოპერატივის ადგილდებარეობის მიხედვით.

თუ კოოპერატივი იქმნება საწარმოსთან, ორგანიზაციასთან ან დაწესებულებასთან, მისი წესდება რეგისტრაციისათვის საჭიროა ამ საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების თანხმობა.

3. ამ შემთხვევაში, თუ კოოპერატივს საქმიანობისათვის სჭირდება მიწის ნაკვეთი ან სხვა ბუნებრივი რესურსები, მისი წესდება რეგისტრაციისათვის აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თვდაბირველად მოსარგებლის თანხმობა მათს გასაცემად.

4. კოოპერატივის წესდებას შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს სარეგისტრაციოდ მისი წარმოდგენის დღიდან ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი კომიტეტი სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ წესდებას არ განიხილავს დადგენილ ერთი თვის ვადაში, კოოპერატივს უფლება აქვს გასაჩივროს ეს შემდგომი სახალხო დ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ

(დასაწყისი)

2. ყველა სახეობის კოოპერატივების წევრები ვალდებული არიან:

დაიცვან კოოპერატივის წესდება და შეასრულონ კოოპერატივის საერთო კრების, მართველი და კონტროლის არჩეული ორგანოების გადაწყვეტილებანი;

შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი კოოპერატივის წინაშე, რომლებიც უკავშირდება მის საქმიანობაში შრომითის ან ქონებრივ მონაწილეობას;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ კოოპერატივის საქმეთა მართვაში;

გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრება, არ დაუშვან სახოზგადოებრივი დოვლათისადმი უყურადრეობა და დაუდეგარი დამოკიდებულება.

საწარმოო კოოპერატივების წევრები, გარდა ამისა, ვალდებული არიან:

გამოიყენონ შრომის მოწინავე ფორმები და მეთოდები კოოპერატივში და პასუხი აგონ თავიანთი მუშაობის შედეგებისათვის, დაიცვან საწარმოო და შრომის დისციპლინა, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესები, აიმაღლონ კვალიფიკაცია;

რაციონალურად გამოიყენონ და გაუფრთხილდნენ კოოპერატივისათვის გადაცემულ ბუნებრივ რესურსებს.

3. კოოპერატივის წევრებს აქვთ სხვა უფლებებიც, ფრეთვე ეკისრებათ კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი.

მუხლი 14. კოოპერატივის მართვა

1. კოოპერატივის მართვა ხორციელდება სოციალისტური თვითმმართველობის, ფართო დემოკრატიის, საჯაროობის, კოოპერატივის საქმიანობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში მისი წევრების აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

2. კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მიმდინარე საქმეების ხელმძღვანელობისათვის ირჩევს თავმჯდომარეს, დიდ კოოპერატივებში კი აგრეთვე გამგეობას. კოოპერატივის თითოეულ წევრს, მთა შორის კოლეტივურს, აქვს ერთი ხმა მისი ქონებრივი შენატანის ოდენობის მიუხედავად.

კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე მოქალაქენი საერთო კრებაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

3. საერთო კრება:

იღებს კოოპერატივის წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ირჩევს კოოპერატივის თავმჯდომარეს, კოოპერატივის გამგეობასა და სარევიზიო კომისიას (რევიზორს), ისმენს ანგარიშებს მათი საქმიანობის შესახებ;

წყვეტს კოოპერატივის წევრად მიღების, კოოპერატივიდან გარიცხვის საკითხებს, აგრეთვე კოოპერატივიდან გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იღებს და ცვლის კოოპერატივის შინაგანაწესს, შრომის ანაზღაურების, ქონებისათვის მიყენებული ზარალის გამო მატერიალური პასუხისმგებლობის დებულებებს, სხვა კოოპერატივის შინაგან აქტებს;

განსაზღვრავს კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული შესასყიდული და საპაიო შენატანების ოდენობას;

ამტკიცებს კოოპერატივის საქმიანობის გეგმებს და ანგარიშებს მათი შესრულების შესახებ;

ადგენს შემოსავლის (მოგების) განაწილების წესს, კოოპერატივის ფონდებისა და რეზერვების გამოყენების ოდენობასა და მიმართულებებს, იხილავს ფასწარმოქმნის საკითხებს;

წყვეტს კოოპერატივის საქმიანობის რეორგანიზაციისა და შეწყვეტის, კავშირში (გაერთიანებაში) მისი შესვლისა და იქიდან გამოსვლის საკითხებს.

გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე განიკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივის საერთო კრების კომპეტენციას. კოოპერატივის წესებისა შესაბამისად ან საერთო კრების გადაწყვეტილებით მის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეიძლება განიკუთვნოს კოოპერატივის ორგანიზაციული, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა საკითხებიც.

დიდ კოოპერატივებში საერთო კრების გამგეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის შეიძლება რწმენიწერილთა კრების მოწვევა.

4. კოოპერატივის გამგეობა (კოოპერატივის თავმჯდომარე, რომელშიც გამგეობა არ არის) ახორციელებს ხელმძღვანელობას კოოპერატივის მიმდინარე საქმეებისადმი და იღებს გადაწყვეტილებებს საკითხებზე, რომლებიც არ განიკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ საერთო კრების (რწმენიწერილთა კრების) კომპეტენციას. გამგეობის თავმჯდომარე არის კოოპერატივის თავმჯდომარე.

კოოპერატივის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საერთო კრების (რწმენიწერილთა კრების) და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, წარმოადგენს კოოპერატივს სახელმწიფო ორგანოებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და სხვა კოოპერატივებთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს, ახორციელებს სხვა მოქმედებას.

სარეგიზიო კომისია (რევიზორი) ამოწმებს გამგეობის ფინანსურ და სამეურნეო საქმიანობას.

მუხლი 15. კოოპერატივის საქმიანობის შეწყვეტა

1. კოოპერატივის რეორგანიზაცია (შეერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და მისი საქმიანობის შეწყვეტა (ლიკვიდაცია) წარმოებს კოოპერატივის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2. კოოპერატივის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით კოოპერატივის წამგებიანობის ან გადახდისუუნარიანობის გამო და იმ შემთხვევებში, როცა კოოპერატივი, გაფრთხილების მიუხედავად, ზშირად ან უხეშად არღვევს კანონმდებლობას. საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება კოოპერატივს შეუძლია სამი თვის ვადაში გასაჩივროს ზემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, რომელსაც არა აქვს საოლქო დაყოფა ან სასამართლო.

3. კოოპერატივის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გამოიყენება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

მუხლი 16. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი)

1. კოოპერატივებს შეუძლიათ მაკარად ნებაყოფლობით საფუძველზე გაერთიანდნენ კავშირებად (გაერთიანებებად) საქმიანობის მიხედვით და ტერიტორიულ კავშირებად (გაერთიანებებად) რაიონებში, ოლქებში (მხარეებში), ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში და საერთოდ ქვეყანაში.

2. კოოპერატივების კავშირების (გაერთიანებების) ძირითადი ამოცანებია:

განავითარონ კოოპერაციული დემოკრატია, კოლექტიურად განხილონ კოოპერატივების საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, განაზოგადონ გამოცდილება და შეიმუშაონ რეკომენდაციები არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენების შესახებ, გაუწიონ პროპაგანდა კოოპერაციულ მოძღვრებას;

ხელი შეუწყონ წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებასებას, კოოპერატივების საქმიანობის კორდინაციას, დაამყარონ კოოპერაციული ურთიერთობა და მოაწყონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, პროდუქციის გადამუშავება, შენახვა და გასაღება;

შეიმუშავონ იმ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ბაზრის მდგომარეობა და პერსპექტივები, რომლის წარმოებასა და გაყიდვაზე დასაბეგროებული არიან კოოპერატივები;

უზრუნველყონ კოოპერატივების უფლებების დაცვა და გაუწიონ მათ იურიდიული დახმარება, წარმოადგინონ მათი ინტერესები შესაბამის სახელმწიფო და სხვა ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში;

სათანადოდ შეუწყონ ხელი კოოპერატივებს წარმოების სრულყოფაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვაში, მათი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეკლამაში, კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

კოოპერატივების ყრილობებს, დელეგატთა (რწმენიწერილთა) კრებებს გადაწყვეტილებებით კოოპერატივების კავშირებს (გაერთიანებებს) შეიძლება დაეკისროთ ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული შესრულება.

3. კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი) იქმნება კოოპერატივების ყრილობებზე დელეგატთა (რწმენიწერილთა) კრებებზე, რომელთა გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავენ ეს ყრილობები და კრებები.

კოოპერატივების კავშირები (გაერთიანებანი) მოქმედებენ თავიანთი წესდებების საფუძველზე, რომლებსაც იღებენ კოოპერატივების ყრილობები და დელეგატთა (რწმენიწერილთა) კრებები. კავშირების (გაერთიანებების) წესდებანი არ ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრაციას. კოოპერატივების კავშირი (გაერთიანება) შექმნილად ითვლება და მას სტნრმს იურიდიული პირი მისი წესდების მიღების მომენტიდან.

კოოპერატივების ყრილობებს, დელეგატების (რწმენიწერილთა) კრებებს შეუძლიათ მიიღონ კოოპერატივების სანობაზო წესდებები.

კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ ჰქონდეთ ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ თავიანთი საწესდებო ამოცანების შესრულებისა და სხვა საქმიანობის განხორციელებისათვის.

კავშირების (გაერთიანებების) და მათი მართვის აპარატების შენახვის ხარჯები ხორციელდება შესაბამისი კოოპერატივების შემოსავლისაგან ანარიცხების ხარჯზე, აგრეთვე ამ კავშირების (გაერთიანებების) სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

III. კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო მექანიზმის ეკონომიკური საფუძვლები

მუხლი 17. კოოპერატივის სამეურნეო საქმიანობის საფუძვლები

1. სსრ კავშირში კოოპერაციის საქმიანობა იგება სოციალისტური შეჯიბრებისა და თვითდაფინანსების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფართოდ გამოყენების პრინციპების საფუძველზე. ამასთან პროდუქტის წარმოებისა და წარმოებული პროდუქტის, აგრეთვე შემოსავლის განაწილების კოოპერაციაში სამეურნეო მექანიზმის თავისებურებებს: დაგეგმვაში, ფასწარმოქმნაში, შრომის ანაზღაურებაში, სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკებთან ურთიერთობაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

2. საწარმოო კოოპერატივი ეკონომიკურად დამოუკიდებელი კოლექტიური სოციალისტური საკუთრებაა. მოქმედებს რა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, იგი განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებებს, წარმოებაში მოეკლობასა და სტრუქტურას, ახორციელებს მის დაგეგმვას, ორგანიზაციას, პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციას.

სამომხმარებლო კოოპერატივს აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა თავის საქმიანობაში და დანახარჯებს ფარავს კოოპერატივის წევრთა შესაბამებისა და მისი სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

3. კოოპერატივის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა საზელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან — მისი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებლებთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიწოდებლებთან ყველა მისი საქმეური ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ სახელმეურეულო საწყისებზე. ხელშეკრულება ერთადერთი სამართლებრივი და ეკონომიკური დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს კოოპერატივის ყველა აღნიშნულ სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობას.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვა, მომხმარებელთა ინტერესების სრული გათვალისწინება არის კოოპერატივის საქმიანობისადმი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, მისი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაუცველობისას კოოპერატივი დადგენილი წესით აგებს პასუხს ქონებით და ანაზღაურებენ კოოპერატივისათვის მიყენებულ ზარალს.

ხელშეკრულების დადება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივისა და შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების კომპეტენციას შედგენს. მართვის სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა კოოპერატივებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება-განხორციელებაში დაუშვებელია.

მუხლი 18. დაგეგმვა

1. კოოპერატივი დამოუკიდებლად გეგმავს თავის საწარმოო-ფინანსურ საქმიანობას და კოლექტიის სოციალურ განვითარებას. გეგმებს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) ამტკიცებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

კოოპერატივი გეგმავს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) შემუშავებისას ხელმძღვანელობს თავის პროდუქციაზე, საქონელზე, სამუშაოსა თუ მომსახურებაზე არსებული ან ტენდენციურად მოთხოვნილებით, საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის, შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო შემოსავლის მიღების შესაძლებლობით. ამასთან გათვალისწინებულია მიწოს და სხვა ბუნებრივი რესურსების, მოქმედი სიმძლავრეების, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, ნედლეულისა და მასალის, ენერგიისა და სათბობის მომჭირნე ხარჯვა, ადგილობრივი და მეორეული რესურსების გამონახვა და სამეურნეო ბრუნვაში მოკლეა, ფარმეულისა და ბრუნვის ხარჯების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა.

გეგმების საფუძველს შეადგენენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები.

2. კოოპერატივს უფლება აქვს ნებაყოფლობით იდოს თავს სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, მათ შორის, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებან და ორგანიზაციებთან კონკურსის პირობებით. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად იდება სამეურნეო ხელშეკრულება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) შესაბამის მომხმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების მიმწოდებლებთან.

კოოპერატივები აქტიურად -მონაწილეობენ ეკონომიკურ შეჯიბრებაში სახელმწიფო და სხვა საწარმო-ორგანიზაციებთან სახელმწიფო შეკვეთების მისაღებად, აღწევენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების, ფასების (ტარიფების) შემცირებას.

კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სპბითუმო ბაზრობებში და დაუდონ მომხმარებლებს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებები, ხოლო მიმწოდებლებს — მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის ხელშეკრულებები.

3. თავისი გეგმების შემუშავებისას კოოპერატივი იყენებს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ვრცელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებს: სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებელი ხელშეკრულებებით წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასების ტარიფების დონეებს, სებგერო გადასახადებს, ბანკების სესხების პროცენტებს, ბუნებრივი რესურსების სახელოვნის ნორმატივებს, ტარიფებში გამამბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სახლეურებს, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში გადარიცხვის ნორმატივებს. რაიმე სხვა ეკონომიკური ნორმატივები ან სხვაგვარი საწყისი მონაცემები დაგეგმვისათვის კოოპერატივებს არ უფლებათ.

ბუნებისარგებლობის და გარეშეო დაცვის საკითხებში კოოპერატივები თავიანთ გეგმებს უთანხმებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

4. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების გეგმების შემუშავების, ტერიტორიაზე ან დარგში სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაციის კომპეტენციურობის უზრუნველსაყოფად კოოპერატივი შესაბამის მართვის ორგანოს ან საწარმოს (ორგანიზაციას), დაწესებულებას, რომელთანაც იგია შემნილი, აცნობებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) დასახული წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, შემოსავალ-გასავლისა და სხვა მაჩვენებლებს.

ამასთან კოოპერატივს შეუძლია მართვის შესაბამის ორგანოებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან გადაწყვიტოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ან საჯარო საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა უზრუნველყოფის საკითხები. მართვის ორგანო ამ ტერიტორიაზე (დარგში) მოქმედ კოოპერატივებთან ერთად უზრუნველყოფს კოოპერატივების წინადადებათა კომპლექსურ დაკვირვებას და ითვალისწინებს მათ შესაბამისი რეგიონის (დარგის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში.

5. გეგმების მეცნიერული დასაბუთებისა და შეწონასწორების გასაუმჯობესებლად ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები და მათი ორგანოები რესპუბლიკებში, სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კოოპერატივების მოთხოვნით უწევენ მას ყოველმხრივ დახმარებას წარმოებისა და შრომის, კადრებლური შენებლობის ორგანიზაციის, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოპმრინე გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების და კოოპერატივების საქმიანობის სხვა მიმართულებებით საქონრო ნორმალური დოკუმენტების გამოყენებაში.

მუხლი 19. ფასები და ფასწარმოქმნა

1. კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასები და ტარიფები უნდა ასახავდნენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საზოგადოებრივად საჭირო ხარჯებს, ითვალისწინებდნენ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) სამომხმარებლო თვისებებსა და ხარისხს, მოგებლობა მომხმარებლთა მოთხოვნას. ისინი უნდა იქმნებოდნენ როგორც კოოპერატივების, ისე მომხმარებლებისა და მთელი სახალხო მეურნეობის ურთიერთინტერესების გათვალისწინებით, ხელს უწყობდნენ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების განვითარებას.

2. კოოპერატივი ასადებს საკუთარი წარმოების პროდუქციისა და საქონელს, ასრულებს სამუშაოებს და ეწევა მომსახურებას იმ ფასებით და ტარიფებით, რომლებსაც კოოპერატივი აწესებს მომხმარებლებთან მორიგებით ან დამოუკიდებლად. კოოპერატივებისა და მათი საქმეების (სამუშაოების, მომსახურების) მყიდველთა საკვანო ურთიერთობაში ჩამოყალიბებულმა ფასებმა (ტარიფებმა) ზემოქმედება უნდა მოახდინონ კოოპერატივების ეკონომიკურ ინტერესებზე, სტიმული მისცენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებას, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფას, მისი ხარჯების შემცირებას. პროდუქციის გაიაფებას, მისი ფასის შემცირებას ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციამ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ბაზარზე.

3. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოებულ, აგრეთვე კოოპერატივებისათვის სახელმწიფო რესურსებიდან მიწოდებული ნედლეულისაგან დამზადებულ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ასაღებენ დამამზადებელი, ანუ საწარმოები (ორგანიზაციები) და მოქალაქეები ცენტრალიზებულად განსაზღვრული ფასებით (ტარიფებით), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნებადართულია სახელმწიფო საწარმოებისათვის, — სახელშეკრულებო ფასებით (ტარიფებით). ასეთივე წესით ფასდება იმ საქონლის საცალო ფასები, რომელიც კოოპერატივებს გამოეყოფა მოსახლეობისათვის მისაყიდად სახელმწიფო საბაზრო ფონდებიდან, ფასები და ფასდებანი კოოპერატივების მიერ სარეალიზაციო საქონლზე, რომელსაც ისინი შეიძენენ სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში.

კოოპერატივი ცენტრალიზებულად დადგენილი საბითუმო ფასების გამოყენებისაა მომხმარებლის (მყიდველს) უთანხმებს მათ დანამატებს (ფალრებს) პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებისა და დაკმაპლექტების, მიწოდების ვადებისა და სხვა პირობების მიხედვით დამატებითი მოთხოვნების შესრულებისათვის.

4. სახელმწიფო კონტროლი ფასების (ტარიფების) მიმართ ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოები, მომსახურება) საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ რეალიზება ან ორგანიზაციებისა ან ხელმეურეულ-ფულადი ურთიერთობის ფართოდ გამოყენების პრინციპების საფუძველზე. ამასთან პროდუქტის წარმოებისა და წარმოებული პროდუქტის, აგრეთვე შემოსავლის განაწილების კოოპერაციაში სამეურნეო მექანიზმის თავისებურებებს: დაგეგმვაში, ფასწარმოქმნაში, შრომის ანაზღაურებაში, სახელმწიფო ბიუჯეტთან, ბანკებთან ურთიერთობაში, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

2. საწარმოო კოოპერატივი ეკონომიკურად დამოუკიდებელი კოლექტიური სოციალისტური საკუთრებაა. მოქმედებს რა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე, იგი განსაზღვრავს თავისი საქმიანობის მიმართულებებს, წარმოებაში მოეკლობასა და სტრუქტურას, ახორციელებს მის დაგეგმვას, ორგანიზაციას, პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) რეალიზაციას.

სამომხმარებლო კოოპერატივს აქვს სრული სამეურნეო დამოუკიდებლობა თავის საქმიანობაში და დანახარჯებს ფარავს კოოპერატივის წევრთა შესაბამებისა და მისი სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

3. კოოპერატივის სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობა საზელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან — მისი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებლებთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან ყველა მისი საქმეური ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ სახელმეურეულო საწყისებზე. ხელშეკრულება ერთადერთი სამართლებრივი და ეკონომიკური დოკუმენტია, რომელიც არეგულირებს კოოპერატივის ყველა აღნიშნულ სამეურნეო-საწარმოო ურთიერთობას.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვა, მომხმარებელთა ინტერესების სრული გათვალისწინება არის კოოპერატივის საქმიანობისადმი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, მისი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაუცველობისას კოოპერატივი დადგენილი წესით აგებს პასუხს ქონებით და ანაზღაურებენ კოოპერატივისათვის მიყენებულ ზარალს.

ხელშეკრულების დადება მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივისა და შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების კომპეტენციას შედგენს. მართვის სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა კოოპერატივებისა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება-განხორციელებაში დაუშვებელია.

მუხლი 18. დაგეგმვა

1. კოოპერატივი დამოუკიდებლად გეგმავს თავის საწარმოო-ფინანსურ საქმიანობას და კოლექტიის სოციალურ განვითარებას. გეგმებს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) ამტკიცებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება.

კოოპერატივი გეგმავს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) შემუშავებისას ხელმძღვანელობს თავის პროდუქციაზე, საქონელზე, სამუშაოსა თუ მომსახურებაზე არსებული ან ტენდენციურად მოთხოვნილებით, საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის, შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო შემოსავლის მიღების შესაძლებლობით. ამასთან გათვალისწინებულია მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების, მოქმედი სიმძლავრეების, პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენება, ნედლეულისა და მასალის, ენერგიისა და სათბობის მომჭირნე ხარჯვა, ადგილობრივი და მეორეული რესურსების გამონახვა და სამეურნეო ბრუნვაში მოკლეა, ფარმეულისა და ბრუნვის ხარჯების შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა.

გეგმების საფუძველს შეადგენენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები.

2. კოოპერატივს უფლება აქვს ნებაყოფლობით იდოს თავს სახელმწიფო შეკვეთების შესრულება, მათ შორის, სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებან და ორგანიზაციებთან კონკურსის პირობებით. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად იდება სამეურნეო ხელშეკრულება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) შესაბამის მომხმარებლებთან და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების მიმწოდებლებთან.

კოოპერატივები აქტიურად -მონაწილეობენ ეკონომიკურ შეჯიბრებაში სახელმწიფო და სხვა საწარმო-ორგანიზაციებთან სახელმწიფო შეკვეთების მისაღებად, აღწევენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების, ფასების (ტარიფების) შემცირებას.

კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საბითუმო ბაზრობებში და დაუდონ მომხმარებლებს პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებები, ხოლო მიმწოდებლებს — მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესყიდვის ხელშეკრულებები.

3. თავისი გეგმების შემუშავებისას კოოპერატივი იყენებს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ვრცელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებს: სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებელი ხელშეკრულებებით წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასების ტარიფების დონეებს, სებგერო გადასახადების, ბანკების სესხების პროცენტებს, ბუნებრივი რესურსების სახელოვნის ნორმატივებს, გარემოში გამამბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სახლეურებს, სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში გადარიცხვის ნორმატივებს. რაიმე სხვა ეკონომიკური ნორმატივები ან სხვაგვარი საწყისი მონაცემები დაგეგმვისათვის კოოპერატივებს არ უფლებათ.

ბუნებისარგებლობის და გარეშეო დაცვის საკითხებში კოოპერატივები თავიანთ გეგმებს უთანხმებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

4. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების გეგმების შემუშავების, ტერიტორიაზე ან დარგში სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კოოპერატივების საქმიანობის კოორდინაციის კომპეტენციურობის უზრუნველსაყოფად კოოპერატივი შესაბამის მართვის ორგანოს ან საწარმოს (ორგანიზაციას), დაწესებულებას, რომელთანაც იგია შემნილი, აცნობებს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) დასახული წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, შემოსავალ-გასავლისა და სხვა მაჩვენებლებს.

ამასთან კოოპერატივს შეუძლია მართვის შესაბამის ორგანოებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან გადაწყვიტოს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ან საჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა უზრუნველყოფის საკითხები. მართვის ორგანო ამ ტერიტორიაზე (დარგში) მოქმედ კოოპერატივებთან ერთად უზრუნველყოფს კოოპერატივების წინადადებათა კომპლექსურ დაკვირვებას და ითვალისწინებს მათ შესაბამისი რეგიონის (დარგის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში.

5. გეგმების მეცნიერული დასაბუთებისა და შეწონასწორების გასაუმჯობესებლად ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები და მათი ორგანოები რესპუბლიკებში, სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები კოოპერატივების მოთხოვნით უწევენ მას ყოველმხრივ დახმარებას წარმოებისა და შრომის, კადრებლური შენებლობის ორგანიზაციის, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოპმრინე გამოყენების ღონისძიებათა განხორციელების და კოოპერატივების საქმიანობის სხვა მიმართულებებით საქონრო ნორმალური დოკუმენტების გამოყენებაში.

მუხლი 19. ფასები და ფასწარმოქმნა

1. კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფასები და ტარიფები უნდა ასახავდნენ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საზოგადოებრივად საჭირო ხარჯებს, ითვალისწინებდნენ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) სამომხმარებლო თვისებებსა და ხარისხს, მომხმარებელთა მოთხოვნას. ისინი უნდა იქმნებოდნენ როგორც კოოპერატივების, ისე მომხმარებლებისა და მთელი სახალხო მეურნეობის ურთიერთინტერესების გათვალისწინებით, ხელს უწყობდნენ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების განვითარებას.

2. კოოპერატივი ასადებს საკუთარი წარმოების პროდუქციისა და საქონელს, ასრულებს სამუშაოებს და ეწევა მომსახურებას იმ ფასებით და ტარიფებით, რომლებსაც კოოპერატივი აწესებს მომხმარებლებთან მორიგებით ან დამოუკიდებლად. კოოპერატივებისა და მათი საქმეების (სამუშაოების, მომსახურების) მყიდველთა საკვანო ურთიერთობაში ჩამოყალიბებულმა ფასებმა (ტარიფებმა) ზემოქმედება უნდა მოახდინონ კოოპერატივების ეკონომიკურ ინტერესებზე, სტიმული მისცენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესებას, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფას, მისი ხარჯების შემცირებას. პროდუქციის გაიაფებას, მისი ფასის შემცირებას ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციამ საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) ბაზარზე.

3. სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად წარმოებულ, აგრეთვე კოოპერატივებისათვის სახელმწიფო რესურსებიდან მიწოდებული ნედლეულისაგან დამზადებულ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ასაღებენ დამამზადებელი, ანუ საწარმოები (ორგანიზაციები) და მოქალაქეები ცენტრალიზებულად განსაზღვრული ფასებით (ტარიფებით), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნებადართულია სახელმწიფო საწარმოებისათვის, — სახელშეკრულებო ფასებით (ტარიფებით). ასეთივე წესით ფასდება იმ საქონლის საცალო ფასები, რომელიც კოოპერატივებს გამოეყოფა მოსახლეობისათვის მისაყიდად სახელმწიფო საბაზრო ფონდებიდან, ფასები და ფასდებანი კოოპერატივების მიერ სარეალიზაციო საქონლზე, რომელსაც ისინი შეიძენენ სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრკ კავშირში კოოპერაციის შესახებ

(დასაწყისი)

კოოპერატივს შეუძლია მუშაობისათვის მოიზიდოს შრომითი ხელშეკრულებით მოქალაქენი, რომლებიც არ არიან კოოპერატივის წევრები, მათი შრომა ანაზღაურების მხრივთა შეთანხმებით.

ძირითად სამუშაოსაგან თავისუფალ დროს კოოპერატივებში მომუშავე პირებზე არ ვრცელდება შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით შეთავსების შესახებ.

კოოპერატივში მომუშავე მოქალაქეებს სრულად უნარჩუნდებათ პენსია, სტიპენდია სწავლის ადგილას და ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილას. კოოპერატივის წევრთა და სხვა მუშაკთა ხელფასის მაქსიმალური ოდენობა არ არის შეზღუდული.

3. კოოპერატივი დამოუკიდებლად ადგენს თავისი წევრებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

დისციპლინარული სასჯელი, მათ შორის თანამდებობიდან განთავისუფლება, კოოპერატივის თავმჯდომარეს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს (რევიზორს) შეიძლება დაედოს მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხოლო მის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, აგრეთვე კოოპერატივის გამგეობის მიერ. არავითარ სახელმწიფო და ზემდგომ კოოპერაციულ ორგანოებს უფლება არა აქვთ დისციპლინარული სასჯელი დაადონ კოოპერატივის თავმჯდომარესა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს.

კოოპერატივი მატერიალურ სტიმულირებასთან ერთად ფართოდ გამოიყენებს მორალური წახალისების სისტემა საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის, ეთიკულსიდელიური შრომისათვის.

4. სამუშაო დღის ხანგრძლივობა და განრიგი კოოპერატივში, დასვენების დღეები, შვებულების, მათ შორის დამატების, მიცემის წესი, აგრეთვე შრომის სხვა პირობები განისაზღვრება კოოპერატივის შინაგანაწესით.

კოოპერატივი აბორციელებს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო ჰიგიენისა და სანიტარიის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ამასთან ხელმძღვანელობს სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის დადგენილი დებულებებითა და ნორმებით.

5. კოოპერატივის წევრები, რომლებიც თავიანთი შრომით მონაწილეობენ მის საქმიანობაში, მუშაობისმსახურეების თანაბრად ექვემდებარებიან სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფას. კოოპერატივში მუშაობის დრო შედის შრომის სტაჟში.

კოოპერატივის წევრ ორსულ ქალებს ეძლევათ უფრო იოლი სამუშაო, უნარჩუნდებათ წინანდელი სამუშაო ადგილის საშუალო ხელფასი. ორსულობისა და შობიერობის, ბავშვის შოვლის გამო შვებულება, აგრეთვე ორსული ქალებისა და მცირეწლოვან ბავშვთა დედების სხვა შეღავათები ეძლევათ იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის. კოოპერატივს შეუძლია დაუწესოს მათ დამატებითი შვებულებები. ქალებს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, უქმნის მათი მოვლიხათვის საჭირო პირობებს.

კოოპერატივი მის მუშაობაში მონაწილე 18 წლისაზე უმცროს წევრებს უუფასოს შემცირებულ სამუშაო დღეს და სხვა შეღავათებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული მუშა-მოსამსახურეებისათვის.

საერთო კრების გადაწყვეტილებით კოოპერატივს უფლება აქვს საკუთარი შემოსავლის ხარჯზე დაამატოს მოდგათები თავისი წევრების სოციალური უზრუნველყოფისათვის.

6. იმისათვის, რომ განახორციელოს კოოპერატივის წევრთა სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებები, კოოპერატივს სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში შეაქვს თავისი შემოსავლის ანარიცხები ის წესითა და ოდენობით, რომლებიც დაადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

მუხლი 26. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური სტიმულირება.

1. კოოპერატივის საქმიანობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მიზნად უნდა ისახავდეს ბაზარზე კონკურენტნარიანი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებას. კოოპერატივი ზრუნავს მისი ძირითადი განახლებისათვის, ამასთან თვალისწინებს მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ მოთხოვნას. ამ მიზნით კოოპერატივი ახორციელებს ტექნიკური დონის ამაღლებასა და ტექნოლოგიების სრულყოფას.

2. კოოპერატივს უფლება აქვს სახელმწიფო სექტორის საწარმოებისა და ორგანიზაციების თანაბრად სახელშეკრულებო საფუძველზე ისარგებლოს ადგილობრივი და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ინსტიტუტების ნამუშევრების შედეგებით.

სახელმწიფო ყოველნაირად უბერს მხარს კოოპერაციის სისტემაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გამოყენებას, გადაჭრით აღკვეთს იმ სამპრალველო ორგანოებსა და თანამდებობების პირთა ყოველგვარ მოქმედებას, რომლებიც ეგზარხებენ ამ პროცესს.

სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან განიხილონ სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმეებზე კოოპერატივის წინადადებანი და განაცხადები, მიიღონ მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი და ყოველნაირად შეუწყონ ხელი სამეურნეოგანარიშებრივ საწყისებზე მათს რეალიზაციას.

3. კოოპერატივს უფლება აქვს თავის შემადგენლობაში და სხვა საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) ერთად შექმნას სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა შემოქმედებითი კოლექტივები სახელშეკრულებო პირობებით გამოკვლევების მოწყობისა და წარმოებაში მეცნიერული ნამუშევრების დანერგვისათვის.

4. პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხი განსაზღვრელია კოოპერატივის საქმიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შედეგების შეფასებაში. ზრუნვა თავისი მარკის ღირსებისათვის უნდა იყოს კოოპერატივის თითოეული წევრის პროფესიული სიამაყის საკითხი. კოოპერატივებსა და მათ კავშირებს (გაერთიანებებს) პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესების, მისი კონკურენტუნარიანობის გადიდების მიზნით უფლება აქვთ მოიწყონ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გამოფენები, ბაზრობა-გაყიდვები, ფართო რეკლამა გაუწიონ საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით, გამოუშვან სარეკლამო გამოცემები.

კოოპერატივის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხისადმი მოთხოვნები, მისი უზრუნველყოფის საპირო ღონისძიებანი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარისხის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობას.

კოოპერატივი მოვალეა ზუსტად ასრულებდეს სახელმწიფოსა და მომხმარებელთა ინტერესების დამცავ სახელმწიფო სტანდარტებსა და სხვა ნორმებს, უწინარეს ყოვლისა, მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა უსაფრთხოებას, მათი ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას. კოოპერატივის პროდუქციას უნდა ჰქონდეს საწარმოო მარკა და დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარებული სასაქონლო ნიშანი, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

წარმოების გადიდებულ დანახარჯებად დაკავშირებული ახალი მაღალხარისხოვანი პროდუქციის ათვისების პერიოდში კოოპერატივს შეიძლება მიეცეს შეღავათები შემოსავლიდან გადასახადების გადახდისათვის იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის კანონმდებლობა იდგენს.

სახელმწიფო ორგანოები მათი კომპეტენციის შესაბამისად ახორციელებენ კონტროლს კოოპერატივის მიერ პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების), ხარისხის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის დაცვისადმი.

მუხლი 27. კოოპერატივის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

1. კოოპერატივი იძენს საპირო ნედლეულს, მასალებს, ინსტრუმენტებს, მოწყობილობასა და სხვა ქონებას საბითუმო ვაჭრობის წესით სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, საკოოპერაციო ბაზრებში, მოსახლეობისაგან, ყველგან შემკვეთებისაგან (მოქალაქეების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან) მიღებულ მატერიალურ რესურსებს მათთან დადებული ხელშეკრულებებით, აგრეთვე იძენს საქონელს სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში. ამასთან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია დაადგინოს იმ სასურსათო თუ სხვა საქონლის ნუსხა, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო ვაჭრობის ქსელში კოოპერატივებისათვის მიყიდვას. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივი შეიძენს საკვებო ქსელში ასეთ საქონელს და აწარმოებს მისგან პროდუქციას (სამუშაოებს, მომსახურებას), მისი რეალიზაციით მიღებული მთელი შემოსავალი უნდა გადაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტში.

სახელმწიფო იღებს ზომებს, რათა განავითაროს საბითუმო ბაზებისა და სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, რომლებიც ახორციელებენ კოოპერატივების საქონლით მომარაგებას მათი განაცხადების მიხედვით.

2. კოოპერატივის მიერ პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) წარმოება სახელმწიფო შეკვეთის შესრულების ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილია ცენტრალიზებულად განაწილებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

3. კოოპერატივი (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებისათვის კოოპერატივი სპარო შემთხვევაში აწყობს ადგილობრივი ნედლეულისა და დადგენილი წესით სასარგებლო ნეიოსეულთა მოპოვებასა და გადამუშავებას, მეორეული რესურსებისა და ნარჩენების შეგროვება-გადამუშავებას, დამხმარე სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და აღჭურვილობის დამზადებასა და შეკეთებას, აგრეთვე თავისი პროდუქციის საფირმო მოსახმარებას.

4. კოოპერატივს უფლება აქვს შეიძინოს, გაცვალოს, იჯარით აიღოს, სესხად მიიღოს სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისაგან (ორგანიზაციებისაგან) გამოუყენებელი შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებები, ნედლეული და მასალები.

5. კოოპერატივი, რომელიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებს და მომსახურებას უწევს მოსახლეობას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისათვის ანგარიშს ასწორებს მზარდკოეფიციენტიანი საბითუმო ფასებით ან საცალო ფასებით, მათი არსებობის დროს კი სახელშეკრულებო ფასებით.

კოოპერატივი, რომელიც დასაქმებულია საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გამოშვებისა და სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მომსახურების გაწევაზე, იძენს საჭირო ნედლეულს, მასალებს, ინსტრუმენტს, მოწყობილობასა და ნაწარმს საბითუმო ან სახელშეკრულებო ფასებით.

მუხლი 28. კოოპერატივის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

1. კოოპერატივები და მათი კავშირები (გაერთიანებები) აქტიურად მონაწილეობენ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას, საგალუტო რესურსების დაგროვებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და კოოპერაციული წარმოების ეფექტიანობის ზრდის შესაძლებლობათა შექმნას.

კოოპერატივებისა და მათი კავშირების (გაერთიანებების) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა ხორციელდება საკავშირო თვითფინანსირებისა და თვითდაფინანსების საფუძველზე.

2. კოოპერატივებს, რომლებიც ახორციელებენ საწარმოო საქმიანობას და მათს კავშირებს (გაერთიანებებს), რომელთა პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) კონკურენტუნარიანია საგარეო ბაზარზე, დადგენილი წესით შეიძლება მიეცეთ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციათა უშუალო შესრულების უფლება.

კოოპერატივებსა და მათს კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ აგრეთვე განახორციელონ საგარეო-საეკონომიკო ოპერაციები საზღვრისპირა ვაჭრობაში უცხოელ ბიზნესმენებთან.

3. კოოპერატივებმა და მათს კავშირებს (გაერთიანებებს) შეუძლიათ დადგენილი წესით განახორციელონ საგარეო-საეკონომიკო ოპერაციები საზღვარგარეთ, ამასთანავე, ეს ოპერაციები, რომელსაც კოოპერატივები და მათი კავშირები (გაერთიანებები) მიიღებენ სპეციალურ ბიუროებისა, ბანკებისა, ფირმებისა, ასევე ეროვნული ეკონომიკური ინსტიტუტებისა, ეროვნული ეკონომიკური ინსტიტუტებისა, ეროვნული ეკონომიკური ინსტიტუტებისა,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ

(დასასრული)

მიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია კოოპერატივისთვის გამოყოფილი ასეთი მიწის სავარგულები მას ნაწილობრივ ან მთლიანად ჩამოართვან. ამასთან ნაზღაურდება მხოლოდ ჩამორთმეული მიწებზე კოოპერატივის სახსრებით აშენებულ შენობათა და ნაგებობათა ღირებულება.

სხვა შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩამორთმევისას კოოპერატივს მთლიანად უნაზღაურდება ამ მიწების ჩამორთმევისთან დაკავშირებული ზარალი იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე, რომლებსაც მიწა გადაეცემათ.

მიწის სავარგულებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით კოლეგიურნების ისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქონლების შემთხვევაში უფლება აქვს საერთო კრების გადაწყვეტილებით თვითონ აიღოს იჯარით ან გადასცეს მიწის ნაკვეთები იჯარით სხვა კოოპერატივებს, სახელმწიფო საწარმოსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს. იჯარის ვადები და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებებით. ამ რესურსების სარგებლობისათვის საიჯარო ქირის შეტანა შეიძლება როგორც ფულად, ისე ნატურითაც.

3. კოლმეურნეობამ ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა ბუნების დაცვის ორგანოებთან უნდა შეათანხმოს შიდასამეურნეო შენებლობის ობიექტების (მეცხოველეობის კომპლექსების, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების საცავებისა და სხვა) განლაგება, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება მოახდინონ გარემოს მდგომარეობაზე.

მუხლი 36. კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკუთრება

1. კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მთელი ქონება, აგრეთვე მის მიერ წარმოებული პროდუქცია, მიღებული ფულადი სახსრები მისი საკუთრებაა.

კოლმეურნეობა, რომელიც იზიდავს თავისი წევრებსა, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ფულად და ქონებრივ შესაბარებს, საერთო კრების გადაწყვეტილებით ანაწილებს შემოსავლისა თუ პროდუქციის ნაწილს ამ შესატანების ოდენობის პროპორციულად.

2. საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესებით კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა დაინტერესების გადიდების მიზნით საკუთარი სახსრების ხარჯზე ძირითად საწარმოო ფონდების მატების ყოველწლიური ღირებულების ნაწილი შეიძლება ჩაირიცხოს სპეციალურ ანგარიშზე — კოოპერატივის წევრთა წილობრივ ფონდში.

ამ ფონდის სახსრები ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის და ჩაირიცხება პირად ანგარიშებზე მათი კონკრეტული შრომითი წვლილის პროპორციულად. ამ სახსრებზე მოლიანი შემოსავლიდან ყოველწლიურად დაირიცხება პროცენტები, რომელთა ოდენობას განსაზღვრავს კოოპერატივის საერთო კრება. კოოპერატივის წევრთა მიერ პროცენტების სახით ყოველწლიურად მიღებული შემოსავალი გრავდება მათ პირად ანგარიშებზე და შეიძლება გამოყენებული იქნეს თვით კოოპერატივის წევრთა შეზღვევებისაგან.

წილობრივი ფონდის შექმნისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს კოოპერატივის წესდება.

3. კოლმეურნეობისა თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონება შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების დამთავრებისა და კოოპერატივის წევრთა პირადი ანგარიშებიდან წილობრივი ფონდის სახსრების გადახდის შემდეგ ბიუჯეტის, ბანკების, აქციების მფლობელებისა და სხვა კრედიტორების წინაშე ვალდებულებათა შესრულება კოლმეურნეობებს ან სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციას ხელშეკრულებით. მიწასთან ერთად იჯარით შეიძლება გადაიცეს აგრეთვე შენობები, ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო სხვა მატერიალური ფასეულობანი. კოოპერატივს შეუძლია მოქალაქეებს მიჰყიდოს ცხენი, სხვა მუშა პირუტყვი, მცირეგაბარიტიანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იმ უფლებით, რომ გამოიყენონ ისინი პირად დამხმარე მეურნეობაში მუშაობისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების დროს.

4. იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ ჩაბას კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და პირუტყვისა და ფრინველის მოვლის სამუშაოებში, კოოპერატივის წესდებაში განსაზღვრული წესით ქალებს, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები, აგრეთვე იმ პირთ, რომლებსაც ასაკის, ინვალიდობისა თუ სხვა სპეციალი მიზეზებით არ შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საწარმოებში, შრომის საერთო სტაჟში ჩაეთვალოთ ის დრო, რომელიც მათ მოახდინეს პირად დამხმარე მეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და კოოპერატივთა ხელშეკრულებით მისი რეალიზაციის საქმეშიც.

მუხლი 38. არჩევით-წარმომადგენლობითი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები

1. კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების განხილვისათვის, მათი მუშაობის გამოცდილების განზოგადების, რეკომენდაციათა შემუშავებისა და სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში კოლმეურნეობათა წარმომადგენლობისათვის საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით იქმნება და ფუნქციონირებს კოლმეურნეობის არჩევითი ორგანოები: კოლმეურნეთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობები, კოლმეურნეთა საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკები) კონფერენციები, კოლმეურნეობათა წარმომადგენლების რაიონული კრებები და მათ მიერ არჩეული კოლმეურნეობათა შესახებ საბჭოები.

2. კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობას იწვევენ სულ ცოტა ხუთ წელიწადში ერთხელ. საკიროების კვალობაზე კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით შეიძლება მოწვეულ იქნეს კოლმეურნეთა რიგგარეშე ყრილობა.

კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობა განიხილავს კოლმეურნეობების სამეურნეო მდგომარეობას ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში, იღებს და აფასებს კოლმეურნეობის სამიუწონო წესდებას, აგრეთვე სხვა ნორმატიულ აქტებს საკოლმეურნეო წყობილების განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ირჩევს კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს და ამტკიცებს დებულებას მის შესახებ.

კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობას და კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

3. კოლმეურნეობებსა და მათ არჩევით წარმომადგენლობათ ორგანებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კოოპერაციულ ორგანიზაციების საქმიანობაში, დაამყარონ და განავითარონ საკავშირო-ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობა და თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების, სხვა სოციალისტური ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებთან და სხვა საწარმოებთან (ორგანიზაციებთან), აგრეთვე კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების საწარმოებთან და ფირმებთან.

მუხლი 39. ოჯახური კოლმეურნეობები

თევზჭერის, მეთევზეობისა და თევზის პროდუქციის წარმოების კოოპერატივის უპირატესი ფორმა თევზსაჭერი კოლმეურნეობა.

თევზსაჭერ კოლმეურნეობას ძირითად საქმიანობასთან ერთად უფლება აქვს ეწეოდეს შეუზღუდავად ნებისმიერ სხვა სახეობის საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

თევზსაჭერ კოლმეურნეობებს შეუძლიათ კოოპერირდნენ ნებაყოფლობით საწყისებზე კავშირებად (გაერთიანებებად), რომელიც ქმნიან თევზსაჭერ საკოლმეურნეო სისტემას და ჩამოაყალიბონ თავიანთი არჩევით-წარმომადგენლობითი ორგანოები.

მუხლი 40. კოოპერატივის საქმიანობის მიმართულებები. კოოპერატივის წევრობა

1. წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატივები სპეციალიზდებიან უწინარეს ყოვლისა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება-რეალიზაციაზე და მოსახლეობისათვის სხვადასხვაგვარი ფასიანი მომსახურების გაწევაზე, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის გამოშვება-გაყიდვაზე, მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის საჭირო საქმეობის შესრულებაზე.

2. კოოპერატივებში შესვლა შეუზღუდავად შეუძლია ყველა მოქალაქეს, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახალხო მოხმარების საქონლის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის წარმოებაში და მომსახურების გაწევაში. კოოპერატივიდან შესვლის და იქ მუშაობის უპირატესს უფლება აქვთ სახელმწიფო საწარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან მათი იერარქიანობა და ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების დროს გამოთავისუფლებულ მუშაკებს, აგრეთვე პენსიონერებს, ინვალიდებს, დისანსახლისებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს. კოოპერატივში შესვლისას უპირატესობით სარგებლობენ აგრეთვე მოქალაქეები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულებით ასრულებენ კოოპერატივის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ სამუშაოს. კოოპერატივების საქმიანობაში მონაწილეობისათვის დადგენილი წესით ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს დაიმეგნიან მუშები, მეცნიერ, ინჟინერ-ტექნიკოები მუშაკები და სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მოსამსახურეები კოოპერატივის წევრებად ან შრომითი ხელშეკრულებით.

კოოპერატივის წევრობა შეპარობებული მის საქმიანობაში მოქალაქეთა სავალდებულო შრომითი მონაწილეობით. სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია თავიდან აიცილოს კოოპერატივების შექმნის სახით დაკრიალებული შრომის გამოყენებით კერძომესაკუთრული საქმიანობისათვის კოოპერატივების გამოყენების შემთხვევები.

კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოდ ჩაბმული პირების რიცხვსა და კოოპერატივის წევრთა რაოდენობის თანაფარდობას არეგულირებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საზოგადოებრივი მოთხოვნილებისა და კოოპერატივის საქმიანობის სახეობის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ახალისებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული მოქალაქეების გაერთიანებას კოოპერატივებში.

3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, „მეცნიერება-წარმოებას“ ცოცხალ შემაკრავის მიზნით სახელმწიფო ყოველნაირად ახალისებს და უწყობს ხელს კოოპერატივების განვითარებას სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური მომსახურების, საპრიტტო, საინჟინრო, საკონსტრუქტორო, დაფრვგვითი და სხვა მომსახურების სფეროებში ისეთი საქონლის, პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების გაწევის კოოპერატივებს შექმნა-განვითარებას, რომელიც ემყარებიან სამეცნიერო აღმოჩენებსა და გამოგონებებს, აგრეთვე ამ კოოპერატივების მუშაობაში თვით აღმოჩენათა და გამოგონებათა აეტორის პირად მონაწილეობას.

4. კოოპერატივებში მუშაობა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და ჩვევებს, შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ საკვირო მომზადება, პროფესიული ვარგისობა და შესაბამისი განათლება.

მუხლი 41. წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების ურთიერთობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან

1. კოოპერატივი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან ურთიერთმომქმედებს საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) წარმოების, მათი ასორტიმენტის გაფართოების და ხარისხის მოსალოდნელი მოთხოვნილების შესაბამისად გეგმართოობა-გაუმჯობესების რეზერვების შესაძლებლობის გამონახვა-ამოქმედებაში, კოოპერატივის შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უწინარეს ყოველისა ეხმარებიან კოოპერატივებს, რომლებიც მონაწილეობენ სახალხო მოხმარების საქონლის დამზადებისა და მოსახლეობის მომსახურების სახელმწიფო შეკვეთების შესრულებაში, აგრეთვე ინვალიდთა შრომაზე დამყარებულ კოოპერატივებს, აძლევენ ამ კოოპერატივებს შეღავათებს სათავსოებისა და მატერიალური რესურსების შეძენაში, მათი წევრების სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

3. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ახალისებენ კოოპერატივების აქტიურ მონაწილეობას სახალხო მოხმარების საქონლის, აგრეთვე მისი დასამზადებელი ნედლეულისა და მასალის სამეიმუნო ვაჭრობის სალაქო და რესპუბლიკურ ბაზრობებში.

მუხლი 42. წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების პროდუქციის რეალიზაცია

1. წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივები მათ მიერ დამზადებულ პროდუქციას აწვდიან მოსახლეობას, სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დამოუკიდებლად, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის მაღაზიებს მუშვეობით როგორც ნაწარმის დამზადების ადგილას, ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც.

მის მიერ წარმოებული პროდუქციის დამოუკიდებლად რეალიზაციის დროს კოოპერატივს შეუძლია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან შეთანხმებით გახსნას მაღაზიები, ფარდულები, კიოსკები, მათ შორის რამდენიმე კოოპერატივის ნაწილობრივი მონაწილეობით. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უზრუნველყოფენ კოოპერატივისათვის საამისოდ საჭირო სათავსოების იჯარით მიცემას.

2. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელის მეშვეობით, მოსახლეობისათვის, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შემთხვევაში კოოპერატივები აგებენ პასუხს დადებული ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ კოოპერატივებისაგან მიიღონ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია მოსახლეობისათვის მისაყიდად საკმისი საწყისებზე, რომლის ანაზღაურება მოხდება ამ პროდუქციის გაყიდვის კვალობაზე.

მუხლი 43. წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების წევრთა კონებრივი პასუხისმგებლობა

წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების წევრები პასუხს აგებენ კოოპერატივის ვალისათვის იმ წესით, ოდენობითა და პირობებით, რომლებიც მისი წესდებით არის გათვალისწინებული.

მუხლი 44. წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების ქონების რეალიზაცია და განაწილება მათი ლიკვიდაციის დროს

წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივების ლიკვიდაციის დროს შენობები, ნაგებობანი, მანქანები, მოწყობილობა, აღჭურვილობა, ნედლეული, მასალები მარაგი, ირიგალიბული მზა პროდუქციის ნაშთები და სხვა ქონება, რომელიც კოოპერატივის საკუთრებაა, მიეყიდება საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს სახელშეკრულო ფასებით.

ქონების გაყიდვისაგან მიღებული ამონაგები და კოოპერატივის ფულადი სახსრები კოოპერატივმა შრომითი ხელშეკრულებით მოუშვეა პირებთან შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორებისა და ბიუჯეტის, ბანკების, სხვა კრედიტორების წინაშე ვალდებულებების შესრულების შემდეგ ნაწილდება კოოპერატივის წევრთა შორის წესდებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

მომხმარებელთა კოოპერატივები

მუხლი 45. მიმოქცევის სფეროს მომხმარებელთა კოოპერაციის თავისებურებანი

1. მიმოქცევის სფეროს მომხმარებელთა კოოპერატივები და საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევით ამ სფეროსთან დაკავშირებული მომხმარებელთა საზოგადოებანი შეიძლება ნებაყოფლობით საწყისებზე გაერთიანდნენ კავშირებად (გაერთიანებებად), რომლებიც ქმნიან მომხმარებელთა კოოპერაციის სისტემას, და შექმნან თავიანთი არჩევით-წარმომადგენლობითი ორგანოები.

2. მომხმარებელთა კოოპერაციის სისტემის ძირითადი ამოცანებია:

შექმნას და განავითაროს ქალაქებსა და სოფლებში საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, სახელმწიფო საკვერო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად განხორციელოს თავისი წევრებისა და მისი მოსახლეობისეული მოსახლეობის უზრუნველყოფაზე საკუთარი წარმოებისა და საწარმოო კოოპერატივებისაგან სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან შეკვეთილი სასურსათო და ირისასურსათო საქონლით, აგრეთვე სახელმწიფო სამაზრო ფონდებიდან მიღებული საქონლით.

მოსახლეობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის, დამამარე საწარმოებისა და სარეწების ნაწარმის, ველური ხილის, კენკრისა და სოკოს, სამკურნალო-ტექნიკური ნედლეულის შესყიდვა, რათა შემდეგ გადაამუშაოს და გაყიდოს საცალო ვაჭრობაში, აგრეთვე მიაწოდოს მრეწველობას;

კვების პროდუქტებისა და შესაფუდები სასოფლო-სამეურნეო და სხვა ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული ირისასურსათო საქონლის, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებულად გამოყოფილი და სამეიმუნო ვაჭრობის წესით შეძენილი ნედლეულისა და მასალების წარმოების ორგანიზაცია;

მოსახლეობისათვის საწარმოო და საყოფაცხოვრები ხასიათის სხვადასხვა მომსახურების გაწევა.

3. მომხმარებელთა კოოპერაციის ძირითადი ამოცანების შესრულების — საქონლით, მოსახურებითა და სამუშაოთი თავისი წევრების გარანტირებული უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე როგორც სოფლად, ისე ქალაქად მოსახლეობის მომსახურებისათვის მომხმარებელთა კოოპერაციის სისტემაში შეიძლება შეიქმნას სამეურნეო (სარეწი), სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა სახეობათა საწარმოო კოოპერატივები, აგრეთვე ამუშაონ საწარმოებმა, სადაც წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონით გათვალისწინებული პრინციპების გამოყენებით.

4 მომხმარებელთა საზოგადოებათა წევრები სარგებლობენ უპირატესი უფლებით შეიძინონ სპეციალიზებული ტექნიკა, ტრანსპორტი, ტენერალის, სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებსა, რომლებიც აუცილებელია მათი საქმიანობის განხორციელებისათვის;

ფარგოდ მოიქცევენ საქონლებრუნვაში საშენი მასალების ადგილობრივ რესურსებს.

2. მომხმარებელთა საზოგადოებებსა და მათს კავშირებს (გაერთიანებებს), შეუძლიათ სახელშეკრულო საწყისებზე იკისრონ იმ ფუნქციების შესრულება, რომ საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით მოახდენენ სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სასურსათო და არასასურსათო საქონლის რეალიზაციას, განახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას, აგრეთვე აწარმოებენ სახალხო მოხმარების ცალკეულ საქონელს შეკვეთის პირობებით.

3. მომხმარებელთა კოოპერაციის ორგანიზაციებს და საწარმოებს უფლება აქვთ შეიძინონ სპეციფიკა ვაჭრობის წესით სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, სხვა კოოპერაციული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისგან, აგრეთვე დადგენილი წესით საცალო სავაჭრო ქსელში როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებით სახალხო მოხმარების საქონელი, ნედლეული, სათბობი, მასალები, სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა, მარაგსაწყლები, ინსტრუმენტი, ნახევარფაბრიკატები და სხვა საწარმო.

მუხლი 50. მომხმარებელთა კოოპერაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციის და მომსახურების ფასები და ტარიფები

1. მომხმარებელთა საზოგადოებებს, მათს კავშირებს (გაერთიანებებს) უფლება აქვთ დამოუკიდებლად ან მომხმარებლებთან მორიგებისამებრ დაადგინონ ფასები (ტარიფები):

მოსახლეობაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მორიგებით დადგმული ფასებით შესყიდული, საკუთარ დამამზადებელ მეურნეობებში წარმოებული და მათ მიერ დამოუკიდებლად დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების, აგრეთვე მათგან გამომუშავებული პროდუქციისა, რომელთა რეალიზაციას ახდენენ ეს საზოგადოებები და კავშირები როგორც საკუთარ სავაჭრო ქსელში, ისე მომხმარებელი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

კოოპერაციულ საწარმოთა მიერ გამომუშავებულ სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლეზე, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პროდუქციაზე, აგრეთვე მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებსა და გაწეულ მომსახურებაზე.

2 მომხმარებელთა საზოგადოებებს შეუძლიათ თავიანთ წევრებს მიანაჭონ უპირატესობა მათთვის სარეალიზაციო საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) საცალო ფასების ჩამოკლების ფორმით, აგრეთვე შეღავათები საქონლის ნისიად შეძენისას. ეს უპირატესობანი და შეღავათები ეძლევთ მომხმარებელთა იმ შემოსავალს (მოგებას) ხარჯზე, რომელსაც იღებენ ისინი საწარმოო, სავაჭრო და სხვა საბუთობთა საქმიანობით.

მუხლი 51. კოოპერატივების საქმიანობა თავიანთი წევრების სანინამოსაყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად

1. მოქალაქეებს შეუძლიათ ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნან ბინათმესაშენებელი, სანინაო, გარაჟსაშენებელი, აგარაკსაშენებელი კოოპერატივები, ინდივიდუალურ მონაშენებია ამხანაგობანი, სხვა მომხმარებელთა კოოპერატივები თავიანთი სანინაო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამ კოოპერატივებისა და ამხანაგობების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ფულადი სახსრებით მონაწილეობა კოოპერაციულ საკუთრების ობიექტების (საცხოვრებელი სახლების, გარაჟებისა და ა. შ.), ხოლო წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კოოპერატივის (ამხანაგობის) წევრთა პირადი საკუთრების ობიექტების შენებლობაში, აგრეთვე გაუწიონ კოოპერატივებს (ამხანაგობის) წევრებს მისი შექმნის მიზნების შესაბამისი მომსახურება.

2. სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და ორგანიზაციები ყოველთვიურად დახმარებას უწევენ ინდივიდუალურ მონაშენთა ამხანაგობებს საცხოვრებელი სახლების შენებლობაში, განაშენიანების ტერიტორიის მოწყობაში, აგრეთვე შეუძლიათ იკისრონ იმ ხარჯების ნაწილი, რომლებსაც გაიღებენ ინდივიდუალური მონაშენების და ბოლოსდა ამხანაგობანი.

3. კოოპერატივები, რომლებიც თავიანთი წევრების სანინაო-საყოფაცხოვრები მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ, შეიძლება შეიქმნას კოოპერატიული წევრთა საკრედიტო ბანკები, რომელიც ეფექტიანად ეხმარებიან ამ ბანკებს ინვესტიციებით, ასევე ბანკებს, ინვესტიციებს